# სამშობლოსათვის

პარიზი, ოთხშაბათი 15 ივლისი 1925 წ. | No. 5. | Paris, Mercredi 15 Juillet 1925

ეროვნული პოლიტიკის ორგანო სპირიდონ კედიას რედაქტორობით.

Journal Géorgien «POUR LA PATRIE», Organe de la Politique Nationale, Directeur: SPIRIDON KEDIA.

ფასი 2 ფრანკი | Rédaction et Administration: 9, Rue Oudinot — PARIS (7e) Téléphone: Ségur 57-36 | Prix: 2 frs.

## აჯანყების გასამართლება!..

მოსული ცნობების თანხმად, აჯანყების მოწყობისათვის ბრალდებულთა საქმის გამოძიება უკვე დამთავრებულა. ახლო მომავალში სასამართლო შეუდგება საქმის გარჩევას. სულ სამართალშია მიცემული 55 კაცი. საჯარო გასამართლება ძალიან იშვიათი მოვლენაა საბჭოთა საქართველოში. ცა და ქვეყანამ იცის, რომ სამართალი და სიმართლე არსად ისე არ არის დასჯილი და დევნილი, როგორც „მუშურ-გლეხური“ მთავრობის საბრძანებელში.

რაც ქართველი ხალხი რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურ მოქმედების გზას დაადგა,—და ეს კი პირველ წლიდანვე დაიწყო სვანეთის თალხნობით,—საჯარო პოლიტიკური გასამართლება ეს მეორეთ ხდება. პირველი იყო ქართველი ერის ყოვლად ღირსეული სულიერი მამის, საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის, მარად საამაყო ამბროსისა და მის მაღალ თანამშრომელთა გასამართლება.

ამაზედ ადრე, ჯერ კიდევ 1922 წლის აგვისტოში საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ გასამართლება დაუპირა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეფიცულებს—კოტე ჩოლოყაშვილს, სუსლიკ ანდრონიკაშვილს, სუმბათოვს, დათა და მაქრო ვაჩნაძეებს, ს. ჯამასპიშვილს და სხვებს. ბრალდების ოქმები ჩააბარეს და საქმე უნდა გარჩეულიყო სეკტემბრის პირველ რიცხვებში. მაგრამ ამ დროს მოხდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირველი დიდი გამოსვლა დუშეთში, სადაც ერთბაშად, დაიღუპა მის წინააღმდეგ გაგზავნილი მთავრობის შეიარაღებული ძალები და რამაც საშინელი თავზარი დასცა მთელ საბჭოთა ხელისუფლებას. ეს სპონტანიური აჯანყება, მართლაც, მეტად ხელსაყრელ პირობებში ხდებოდა. ერთის მხრით, საბჭოთა რეჟიმი მაშინ ფეხვებ გადგმული არ იყო, კომუნისტური ორგანიზაციები სოფლათ და ქალაქათ ჯერ კიდევ გამართული არ იყო; მეორეს მხრით, ხალხი, საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური პარტიები სრულიად ხელუხლებლები იყვნენ. ამ პირობებში, დუშეთში დაწყებულ აჯანყებას დიდი გამოძახილი მიეცა მთელ საქართველოში. სვანეთმა ხელახლათ იარაღს ხელი მოჰკიდა, აფხაზეთში, სამეგრელოში და ბევრგან სხვაგან მოძრაობა ფეხს იდგამდა; კახეთი და ხევსურეთი მარტო ბრძანებას-ღა ელოდა. შეიძლება თამამათ ითქვას,-რომ პოლიტიკურ პარტიებს ინტრიგები არ დაეწყოთ და ხელის შეწყობის მაგიერ ხელი არ შეეშალათ და ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ პროვოკაცია არ გაევრცელებიათ, ამ აჯანყებას გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა გამარჯვებისა, საქართველოს ფარგლებში, ვიდრე 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას. და ამ რეალური საფრთხის წინაშე, თავზარდაცემულმა მთავრობამ მიმართა თავის ჩვეულებრივ იარაღს—ბრალიანისა და უბრალოს გაუსამართლებლათ ხვრეტას. სასამართლოში გადაცემული საქმე, მყისვე „ჩეკამ“ უკან დაიბრუნა და ყველა შეპყრობილი მეფიცული დაახვრეტია. ეს ახალგაზდა პატრიოტები იყვნენ პირველი სხვერპლები, რომლებიც სამშობლოს საკურთხეველმა შეიწირა!

იმ დღიდან მოყოლებული, ჯალათების მკლავები არ შეჩერებულან. მრავალი ათასი საუკეთესო ქართველი გაუსამართლებლათ ჩაჰკლეს ჩეკის სარდაფებში, თუ კოჯორ-ვაკეს თხრილებში. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგან ტერორია გამეფებული და ყოველი მოხელე და არა მოხელეც ხელისუფლების სამკვდრო მუქარის ქვეშ იმყოფება და იძულებულია მისი გულისთქმა შეასრულოს, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ყოფაშია სასამართლოც და რომ, მაშასადამე, მთავრობას აქაც შეუძლიან თავისი ზრახვები შეისრულოს, იგი მაინც გაურბის მას. რაც გინდა იყოს, დღის სინათლეს მაინც თავისი ძალა აქვს. ეს ცხადათ დამტკიცდა მათი ყოვლად უწმიდესობის კათოლიკოზისა და საკათალიკოზო საბჭოს წევრთა გასამართლების დროს. თუმცა სასამართლოს დარბაზი ჩეკისტებით და კომსომოლებით იყო გატენილი, თუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ვექილებს პირში ბურთსა ჩრიდენ და ბრალდებულებს ყოველგვარ დაცინვასა და დამცირებას აყენებდნენ, მაგრამ როგორც ბრალდებულთა უმაგალითო სიმტკიცემ და რწმენის სიცხოველემ, ისე ვექილთა მხრივ ქვეყნისა და მისთვის დატანჯულთა მიმართ მოვალეობის მაღალმა შეგნებამ თავისი გაიტანა და საქართველოს იდეა ჩეკისტთა სასამართლოდან გამარჯვებული გამოვიდა.

ეს მოსალოდნელი იყო. საქართველოს ეკლესიას ქართველი ეროვნული იდეა ათას წლობით დაუცავს და უცხოველებია. იჭვი არ იყო, რომ ამ ეკლესიის ღირსეული წარმომადგენელნი ამ ტრადიციის ღირსნი იქნებოდნენ და სინამდვილემ ეს კიდევაც დაამტკიცა.

ასევე უნდა მოხდეს და მოხდება კიდევაც ამ მომავალი გასამართლების დროს. მთავარი ბრალდებულია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. ეს კომიტეტი 2-3 წლის განმავლობაში უძღოდა მთელ იმ განმათავისუფლებელ მუშაობას, რომელიც საქართველოში სწარმოებდა და გასული წლის აგვისტოს აჯანყებით დასრულდა. როგორიც არ უნდა იყოს მომზადება, ან თვით აღსრულება ამ აჯანყებისა, რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ შერჩეული მომენტისა და პირობების შესახებ, ერთი რამ ხომ უეჭველია—აჯანყების სული და გამართლება ეს იყო თვით საქართველოს ეროვნული იდეა, საქართველოს დამოუკიდებლობა. 7000 ქართველმა მისთვის თავი დასდო. სხვა რამით კი არა, ამ წმინდა სისხლით დამტკიცდა, რომ მთელი საქართველო დამოუკიდებლობის იდეით და გრძნობით არის გამსჭვალული და მისთვის არავითარ სხვერპლს არ ერიდება. ქვეყანამ დაინახა. რომ ქართველი ერისთვის სამშობლოს თავისუფლება ცარიელი სიტყვა კი არა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. უკვე ფაკტად ქცეულმა აჯანყებამ და მისთვის გაღებულმა სხვერპლმა საქართველოს დაუმკვიდრა საერთაშორისო უკვდავება.

მზგავსათ უფროს ძმათა, საქ. ეკლესიის წარმომადგენელთა, ამ იდეის ღირსათ, ჯალათების წინაშე, თავს დაიჭერენ ყველა ისინი, ვისაც ისტორიამ მისი შექმნა და დაცვა დაავალა. და ეს იდეა ახლაც გამარჯვებული გამოვა საქართველოს ჯალათების სასამართლოდან და ერთ დღეს თავის მკაცრ სასჯელს მათვე გამოუტანს.

## მწუხარება და იმედი.

### II

იმპერატორთა რუსეთის ასის წლის ბატონობას არ მიუყენებია საქართველოსთვის ისეთი ზიანი, როგორც ოთხი წლის განმავლობაში მიაყენა მას სოციალისტურ-ბოლშევიკურ რუსეთის ბატონობამ. იმპერატორთა რუსეთი ვერ შესძლებდა, ვერ გაბედავდა, ვერ მოახერხებდა, არც იკადრებდა ჩაედინა საქართველოში ის, რაც ჩაიდინა ეგრედ-წოდებულმა „საბჭოთა“ კომუნისტურმა რუსეთმა.

საბჭოთა „რუსეთი“! — თითქოს ეს რუსეთი მართლა რევოლუციის რუსეთი იყოს! ტყუილია! რუსეთში ისეთი რევოლუციები, როგორიც მოხდა ინგლისში, საფრანგეთში, როგორიც ხდებოდა იტალიაში, გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში, — რევოლუცია, შედეგი თვით ერის სულიერ და ნივთიერ ცხოვრების სიღრმეში მომხდარ ცვლილებისა, როდესაც ახალ იდეას თვით ერი და მისი საუკეთესო წარმომადგენელნი ატარებენ, როდესაც ამ იდეის განმახორციელებელი თვით ერია, შემოქმედების გამომჩენი, დამთურგვნელი ძველისა და შემქმნელი ახალის ცხოვრებისა, — ასეთი რევოლუცია არ მომხდარა რუსეთში. მართალია ასეთ დიდ რევოლუციათა დროსაც აღელვებული ზღვა ეროვნულ ცხოვრებისა საზოგადოების ძირში საუკუნოებით დანალექს ტალახს მოიტივტივებს ხოლმე ყოველთვის თვისს ზედა პირზედ, მაგრამ ნამდვილი შემოქმედი ძალები ერისა ახალ საფუძველს უყრიან საზოგადოებას სწორედ ამ საშინელ გარდატეხის დროს, ახალ ბედსა სჭედავენ ერისას, და ტალახი ისევ ძირს ექანება, დადგება რა ღელვა და ხორცს შეისხამს რა ადეა, მამოძრავებელი ერთა. ყოველი რევოლუცია დიდი ეროვნული აქტია. ვითარება, ღირება მისი ისეთია, როგორიც არის თვით ერი, შემქმედი რევოლუციისა. ხოლო რუსეთის „დიდ“ რევოლუციას წინ უძღოდა აღრევა, უწესოება, „სმუტნოე ვრემია“, სტენკა რაზინი, პუგაჩევი—ყაჩაღობა, ქურდობა, მკვლელობა, დაწვა, დანგრევა და არა ძველის მაგივრად ახალის აშენება, და ამ „მოძრაობათ“ ავაზაკები ხელმძღვანელობდენ და არა დიდი იდეის მქონე დიდნი პიროვნებანი. შემდეგ, მთელი მე-XIX საუკუნის განმავლობაში ევროპის აზროვნების მიმბაძველნი ჩაუდგნენ თავში რუსეთის „რევოლუციის“ საქმეს ევროპიული პროგრამმებით. შედეგი მათი მუშაობისა იყო ინტელიგენციისა და ქალაქის მუშათა სუსტი ორგანიზაციები, მუჟიკთა ზღვა-კი ისევე მდორე დარჩა, როგორიც იგი იყო საუკუნეთა განმავლობაში. ვისაც ორიგინალური, ეროვნულ-რუსული იდეა ჰქონდა, მათი ძალა არარაობას უდრიდა, რათგანაც არც იდეა იყო მათი ნათელი და არც ის „ხალხი“ იყო მოაზროვნე და მოძრავი, რომლის სასწაულთ-მოქმედების იმედი მათა ჰქონდათ, არამედ ბნელი, პასიური „მასსა“, არა მქონე წარსულისა, წარსულ საქმეთა მოგონებისა. საჭირო იყო ყოველთვის გარეშე მტრის მიერ დამარცხება რუსეთისა, ომის წაგება იმპერიის მიერ, რომ რუსეთში დიდი მოძრაობა ყოფილიყოს შესაძლებელი. იაპონიის ომში დამარცხებამ მიანიჭა რუსეთსა 1905 წლის „რევოლუცია“ და ის პოლიტიკური თავისუფლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც შესაფერისი იყო თვისის არარაობით მისის შემქმნელის „რევოლუციისა“ და ეს უკანასკნელიც ადრე და ადვილად ჩააქრო მთავრობამ, რათგანაც რუსეთი ჯეროვანად არ გამოდგა დალეწილი გარეშე მტრის მიერ და მთავრობას „შინაური მტრის“ წინააღმდეგ გამკლავება ვაჟ-კაცურად შეეძლო. ხოლო უკანასკნელი დიდი რუსეთის რევოლუცია უპირველეს ყოვლისა ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის მიერ გალახულ რუსის ჯარების აქტია,—სასოწარკვეთილ დამარცხებულთა ველური, უწესო აღრევა, შეიძლება მურის ძიებაც თვისის ერისა და თავის თავის წინააღმდეგ! გამხეცებულ მეზღვაურთა და მხედართ თავში ჩაუდგენ პროფესიონალური რევოლუციონერები და მოინდომეს მათ პროგრამმათა მიხედვით მიეცათ მიმართულება დაწყებულ მოძრაობისათვის. დამარცხებულ მხედართა და ქალაქის ბრბოებისაგან შემდგარ ძალებით უნდოდათ მათ შეექმნათ ახალი რუსეთი, თავისუფალი, რესპუბლიკური და სხვ., მაგრამ მუჟიკთა ზღვა ისევ სდუმდა და „მხედართა და მუშათა საბჭო“ კი ამ 100 მილიონ მუჟიკთაგან „თავისუფალ“ და „რესპუბლიკურ-დემოკრათიულ“ ქვეყანას ვერ შექმნიდა. ასეთი ელემენტებისაგან არ იქმნება ის, რაც მათა სწადდა და არც ასეთს სოციალურს ალქიმიას გამოუღია არსად ნაყოფი. და ვერც რუსეთში გამოიღო.—

პირველი დემოკრატიულ-რევოლუციური მთავრობა ნეტარ-ხსენებულ უნიჭოთა საპნის ბუშტივით განქრა, ვითარცა უნიადაგო რუსეთის ომით დასერილ ნიადაგზედ; დემოკრატიული მთავრობა უდემოკრატიო ქვეყანაში გამხეცებულ შეიარაღებულთა ბრბომ ერთი თვალის დახამხამებაში განაქრო. მუჟიკთა ზღვა, რომელიც დემოკრატიათ ეჩვენებოდა კერენსკისა და მის თანამმართველთ, კვლავ სდუმდა. მოვიდა ძლიერი ლენინი და დაუდვა საყდარი ბატონობისა მას, რასაც მხოლოდ შეეძლო რუსეთში ბატონობა დიდ ომში დამარცხების შემდეგ,—ხამოკრატიას. 1917 წლიდან მეფობს რუსეთში ეს საშინელი ხამი, რომელსაც ჭკვიანნი კაი ხანია წინასწარ-მეტყველებდენ და წინასწარ-გრძნობდენ. „წითელი“ მხედრობა, „ჩეკა“—აი თარიღი, რომელთაც შექმნა რუსის ხამმა არა სოციალიზმი, არამედ საზოგადოება გარეშე ყოველივე კანონისა, სარწმუნოებისა და ზნეობისა. კაცის საკლავ ბაკებათ აქცია მან მთელი რუსეთი. სასაფლაოდ არის ქცეული მთელი ეს უზარ-მაზარი ქვეყანა და არა შრომის სამოთხედ, როგორც ამას ჰპირდებოდა ერს მოძღვრება რევოლუციისა; აზრისა და ინიციატივის მქონე ნაწილი ერისა წამებით ამოხოცეს და დარჩა ნამდვილი „მასსა ხალხისა“, რომელსაც ასეთის სიყვარულითა და პირმოთნეობით ჰლიქნიდენ მოციქულნი რევოლუციისა. წამება, მოსპობა პიროვნების თავისუფლებისა და თვით ფიქრის უფლებისა, განქრობა ადამიანის სიცოცხლის ღირებულებისა, მოსპობა სამართლისა, ზნეობისა, სარწმუნოებისა—აი რა არის საბჭოთა რუსეთში! ის, რაც ვერც ერთმა ტირანიამ, ინკვიზიციამაც კი ვერ შესძლო,—და არც დაუსახავს მიზნად სავსებით აღმოეფხრა ის საფუძველი, ურომლისოდაც საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელია,—რუსეთში შესაძლებელი გახდა. და მუჟიკთა ზღვა ისევე იტანს და მანამდის აიტანს ამ უცნაურ „რეჟიმს“, როგორც იტანდა იგი თვით-მპყრობელობას და სანამ რაიმე მიზეზის გამო თვით არ დაინგრევა ბოლშევიზმი, რუსეთის სადიზმზედა და პასსივობაზედ დამყარებული. «კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წირმოსდინდების“-ო. და რუსეთის ეროვნულმა ჭურჭელმა ჯერჯერობით ეს ბოლშევიკური შხამი და სიბინძურე წარმოადინა. აი ეს შხამი და სიბინძურე გარდაენთხია თავისუფალ საქართველოს, რომელსაც ჯერ ვერც კი გაეგო, თუ რა იყო დამოუკიდებლობა და როგორ უნდა ყოფილიყო იგი დაცული! ბოლშევიკებთან ერთად კვლავ მოგვევლინენ ის ელემენტები ძველის რუსეთისა, რომელნიც ყოველთვის იყვნენ მატარებელნი რუსეთის იმპერიალისტურ იდეისა და მსახურად დაუდგენ ახალს, წითელს იმპერიალიზმს. მათთან ერთად შემოზვავდა საქართველოში მთელი ხროვა ჯალათთა და მაწამებელთა,—რუსნი, ურიანი, ჩინელნი, ბალტიის ბარბაროსნი,—ზოგი სიმდიდრის შესაძენად, ზოგი თავიანთ სადისტურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მათვე მიემხრენ ჩვენ მეზობელთა ის ელემენტები, რომელთაც მართლაც სწადიათ აღიგონ „არწივის ნაბუდარზედ“ „ყვავყორნის“ ბუდეები. და აი, ეს ოთხი წელიწადია ჯვარზედ ადის გაკრული საქართველო და ენით გამოუთქმელ ვნებას განიცდის: განადგურდა ერი ნივთიერათ, ისპობა მისი კულტურული შემოქმედება, აღკვეთილია უფლება აზროვნობისა, თავისუფლად ფიქრისაც კი, და რასაკვირველია წერისა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოქმედებისა. პირქვე არიან დამხობილნი სალოცავნი ქართველთა—არა მეჩეთნი, სინაგოგანი და სომხის ეკლესიანი. ქართველი სამღვდელოებას სდევნიან. ჰხოცვენ, აწამებენ—არა ტერტერებს, მოლლებს, რაბინებს. სული კეთილ-მობილი ბევრი ქართველი კაცისა შეირყვნა, გათახსირდა, რა ვეღარ აიტანა სიღატაკე, შიში წამებისა, საპყრობილე. წამება ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში. სიკვდილის უკვე აღარ ეშინიათ, არამედ წამებისა. ხელს აწერიებენ წინ-და-წინ გამზადებულ განცხადებაზედ თავ-მოყვარე, საუკეთესო ქართველებს, რომ უარაყოფიონ ის, რაც მათ სწამდათ და უყვარდათ, რასაც იგინი მთელის მათის სიცოცხლის განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემსახურებოდენ, და მით გაუთახსირონ, გაუბინძურონ, მოუშხამონ სული, დასცენ იგინი მათთავე თვალში, წაართვან შეგნება მათი პიროვნების ღირებულებისა. ბავშვებს უკვე აღზრდის პირველი დღიდანვე ჰრყვნიან, რომ სამაგალითო ჯალათთა, ნამდვილი ბოლშევიკური სულის მატარებელთა შთამომავლობა შეჰქმნან.— მთელი ერის ნივთიერ და სულიერად მოსპობის რეჟიმი, ინკვიზიცია აღმსდგარა მთელის მისის საშინელებითა და საზიზღრობით, შეზავებული რუსული სადიზმითა, სემიური სისასტიკით, აღტყინებული ჩვენ შურიან მეზობელთა უჭკუო და უაზრო ბოროტებით,— აი რას განიცდის საქართველო, ოთხი წლის განმავლობაში ჯვარზედ გაკრული! და სიკვდილი! სიკვდილი ჰკაფავს ყოველ დღე საქართველოს საუკეთესო შვილებს! მკვლელობა ნაანგარიშევი, მთელი ერის სამუდამოდ დაკნინებისა და დაკოდვის მიზნით ნაანგარიშევი მკვლელობა მოგვიტანა მძვნად რუსულმა „რევოლუციამ“ და სოციალიზმმა. და ვინც ამ სისტემაში ვერა ჰხედავს მტერთა მიზანს, რომ ერთად-ერთი სახელმწიფოს შექმნის ნიჭის მქონე ქართველი ერი სამუდამოდ აღსპოლოს კავკასიის მიწა-წყალიდან, რომ 1918 წლის 26 მაისი აღარაოდეს განმეორდეს, იგი ბრმაა და ვერავითარი სასწაული მას თვალს ვერ აუხელს. საქართველოში მარტო სადისტური ტერრორი არ მეფობს, რუსეთში რომ მეფობდა და დღესაც არ დამცხრალა— საქართველოში შახ-აბაზის პოლიტიკური ტერორია გამეფებული, მხოლოდ უფრო სასტიკი, უფრო საზიზღარი და უფრო საშიში, რათგანაც იგი მთელს საქართველოს რუსულადა სცემს მათის ხელით, ვისაც არ აქვს არც სარწმუნოება, არც კანონი, არც სირცხვილი,—არაფერი, რაც ადამიანის საშინელებას საზღვარს უდებს, ჰლაგმავს, შახ-აბაზსა და მისს ურდოებს სარწმუნოება მაინც ჰქონდათ. ღმერთი მაინც სწამდათ...

აი „ახალი“ რუსეთის ნამდვილი სახე, მისი მიზანი და მისი ბატონობის მეთოდი საქარდველოში. იგია მიზეზი იმისა, რომ დღეს ძაძებშია გახვეული მთელი ქართველი ერი. ხოლო, თითქოს სადღაცა არსებობდეს უკეთესი რუსეთი, უკეთესი სოციალიზმი მისი, რაღაც რუსის დემოკრატია და სხვ.— Credat Judaeus Apella!

მიხეილ წერეთელი.

## მესამე ეტაპი.

ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებას თავიდანვე საერთოდ მტრულად შეხვდა მთელი ევროპა. მხოლოთ იმდენათ, რამდენადაც ეს მოვლენა მეომარ სახელმწიფოთა რიგიდან რუსეთს რიყავდა და ამით ომის მოგება-წაგების შანსები იცვლებოდა მოპირდაპირეთა შორის, იმდენათ სხვადასხვაობდა ეს მტრული განწყობილება.

ომის გათავების შემდეგ ბოლშევიკების წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას დაადგნენ მოკავშირეთა სახელმწიფონი. ამ შემთხვევაში ესენი უფრო შურისძიების გრძნობით ხელმძღვანელობდნენ იმ ღალატისათვის, რომელიც მათ წინაშე ბოლშევიკებმა ჩაიდინეს, ვიდრე კომუნიზმის საფრთხის აშორების აზრით. მართლაც, ამ ახალი რეჟიმის ბუნება ჯერ კიდევ აშკარათ არ გამოჩენილიყო, მისი გამათახსირებელი საერთაშორისო გავლენა ჯერ კიდევ ვერავის გაეჭვრიტა და დასასრულ, მისი ხანგრძლივობა არავის ჯეროდა. გაუბედავათ, მაგრამ მაინც რეალურათ, ინგლისი და საფრანგეთი აშკარათ გვერდში ამოუდგნენ რუსეთის მებრძოლ კონტრ-რევოლუციურ ძალებს. ეს იყო რუსეთ-ევროპის დამოკიდებულების პირველი ეტაპი. მაგრამ ეს ინტერვენცია და მასთან მთელი რუსული კონტრ-რევოლუციური მოძრაობაც დამარცხებით გათავდა.

ამ მომენტიდან დაიწყო მეორე ეტაპი. ევროპის საზოგადოებრივი აზრის ერთი ნაწილი ნელ-ნელა კეთილგანწყობილათ ამუშავდება საბჭოთა რეჟიმისადმი, თუმცა საერთოდ და მმართველ წრეებში განსაკუთრებით რჩება ისევ ის მტკიცე ანტიბოლშევიკური განწყობილება.

ამასობაში, ხდება ამ ახალი რეჟიმის შედარებითი კონსოლიდაცია და ეს გარემოება რუსეთს ნაწილობრივ უბრუნებს სრულათ დაკარგულ საერთაშორისო ღირებულებას. ამით მარჯვეთ სარგებლობს საბჭოთა ხელისუფლება. მას დაბადებიდან დაჰყვა თავისი გარკვეული ხაზი. იგი მტერია კაპიტალისტური ქვეყნიერობის. მისი მიზანია ამ ქვეყნიერობას ძირში ამოსდოს რევოლუციის დინამიტი, ააფეთქოს და გადმოაბრუნოს. ეს მისი „რეზონ დეტრია“. ამისთვის მოვიდა ამ ქვეყნათ. ეს მისი მოწოდებაა. ესაა მისი ერთად-ერთი ინტერესი, მისი ერთად-ერთი პოლიტიკა და მთელი თავისი მატერიული, ინტელექტური და ფიზიკური რესურსებით საბჭოთა ხელისუფლება მხოლოთ-და-მხოლოთ ამ პოლიტიკას ემსახურება. ის მარტოა მსოფლიოში. თუ ერთის მხრით, ამაშია მისი საბოლოო დამარცხების უტყუარი საწინდარი, მეორეს მხრით სწორედ ესაა მისი სადღეისო-ხვალიო სიმტკიცის ფაქტორი.

ასე მთლიანი და ერთიანი არ არის კაპიტალიზმის ფრონტი. ომის დროინდელი კავშირი დაიშალა. გამარჯვებულნი და დამარცხებულნი ერთად ვერ მგზავრობენ; მარადიული ეროვნულ სახელმწიფოებრივი ინტერესები ერთმანეთს ეჯახებიან. ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე გუშინდელ მტერს უახლოვდება, რომ თავის გუშინდელ მეორე მოკავშირეს ხელი დაუცაროს. საჭირო ხდება ახალი სამხედრო ექსპედიცია რურის დასაკავებლათ. ომის მძიმე შედეგები არ ქარწყლდება და განაგრძობს თავის მოქმედებას. მატულობს საერთო ნერვიულობა და დაღლილობა. ამ ავადმყოფურ ატმოსფერაში მაღლა-მაღლა იწევს მემარცხენე ტალღა. გერმანიაში უკვე სოციალ-დემოკრატიის ბატონობაა. საბჭოთა დიპლომატია ძალიან მოქნილათ იყენებს შექმნილ პირობებს. იწყება მისი გამარჯვებების პერიოდი. გენუას კონფერენცია და 21 წლის 16 აპრილის რაპალოს ხელშეკრულება ამის პირველი და უტყუარი ფაქტია... 23 წლის მაისში მეორე ინტერნაციონალი ჰამბურგის კონგრესზე საბჭოთა რუსეთის გამაგრებისა და მიშველების რეზოლუციას ღებულობს. ამავე წლის შემოდგომაზე ინგლისში მთავრობას სათავეში მოექცა მუშათა პარტია და ბოლშევიკების აქციებმა კიდევ უფრო მაღლა აიწიეს. 24 წ. 8 იანვარს მაკდონალდმა იცნო საბჭოთა რუსეთი de jure. საფრანგეთში ძლიერდება პროპაგანდა და აგიტაცია მმართველი ეროვნული ბლოკისა და პუანკარეს წინააღმდეგ. ამავე წლის მაისის არჩევნებში დამარცხდა პუანკარეს ეროვნული ბლოკი და მართვა-გამგეობის სავე მემარცხენეთა კარტელმა ჩაიბარა, სადაც სოციალისტების გავლენას უპირატესი ადგილი ეჭირა. საბჭოთა აქციებმა კიდევ უფრო აიწიეს. ამავე წლის 28 ოკტომბერს ბ-ნმა ჰერიომ, კარტელის მთავრობის თავმჯდომარემ, de jure იცნო საბჭოთა კავშირი. დადგა ერა მაკდონალდ-ჰერიოსი და ამან დაამყარა საუკეთესო სეზონი ბოლშევიკური ყვავილის გასაფურჩქნავათ. ინგლის-საფრანგეთში, მემარცხენეთა მიმდინარეობის მატების პერსპექტივის წინაშე და იმის შიშით, რომ ნაპირალზე არ დარჩენილიყო, მუსოლინმაც ისწრაფა და საბჭოთა ცნობაში მაკდონალდს ერთი დღით დაასწრო! ამ დიდ სახელმწიფოებს ზედ პატარები მიჰყვნენ: ავსტრია, საბერძნეთი, დანია, ნორვეგია, შვეცია და სხვანი. საბჭოთა რუსეთმა ყველა ამ ქვეყნებში თავისი წარმომადგენლობა გაიჩინა და მათი საშუალებით მეთოდიურ პროპაგანდას შეუდგა, მსოფლიო რევოლუციის მოსახდენათ. ეს ხანა იყო რეკორდის ხანა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, საგარეო პოლიტიკაში. თუმცა ერთგვარის მეტნაკლებობით, მაგრამ ყველა ამ ქვეყნებში ბოლშევიკური პროპაგანდა თავის ნაყოფს მაინც იძლეოდა. ამასობაში მოაწიეს ინგლისის ახალმა არჩევნებმა, რომელმაც შესცვალა საერთაშორისო პოლიტიკის კურსი. საშინელი დამარცხება გამოიარეს ლიბერალებმა და ტრავაისტებმა. კონსერვატორებმა ორჯელ მეტი დეპუტატები გაიყვანეს, ვიდრე ლიბერალ-ტრივაისტებმა ორივემ ერთად. ისევ ტრადიციამ ჩაიბარა დიდი ბრიტანიის საჭე. გაიმარჯვა წესიერებისა და დაუძლეველი ევოლუციის განწყობილებამ და დოკტრინამ. კერძოთ საბჭოთა მიმართ, ეს იყო პოლიტიკა გაფრთხილებული უნდობლობის და მტრობისა. ამ მომენტიდან დაიწყო მესამე ეტაპი კაპიტალიზმისა და კომუნიზმის ურთიერთობაში, რომელიც დღემდე გრძელდება.

ცნობილია, რომ ხეირი არ დაეყრება იმ მთავრობას და ქვეყანას, რომლისთვისაც ინგლისი მოიცლის. ინგლისმა მოისურვა და ტუსაღათ მოჰკლა ნაპოლეონი. მანვე ჩამოაგდო ტახტიდან კარლო მეათე, ალჟეს დაკავებისათვის და აგერ ჩვენ თვალწინ ძლიერი პუანკარეც რა რომ ინგლისის სურვილის წინააღმდეგ რურში შესვლა გაბედა. ინგლისის მდიდარ სამანიოვრო მასალას ჯერ ვერავინ გამკლავებია და საბჭოთა კავშირის რეალ საფრთხესაც მარტო ინგლისი შეჰქმნის.

ინგლისის კონსერვატორულმა მთავრობამ ფართოთ მოხაზა და შორიდან დაიწყო თავისი ანტიბოლშევიკური მანიოვრი. მეორეს მხრივ, ბოლშევიზმი თავის ბუნებას ვერ გაექცეოდა და მყვირალა სკანდალები და მღელვარებანი მეტროპოლიებში და კოლონიებში გაახშირა. ამასობაში, გერმანიაში ჭკვიანი მეუნაგრის სოციალისტ-პრეზიდენტის ებერტის ადგილი კაიზერ ვილჰელმის ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა დაიჭირა,—ეს იყო ნამდვილი რევოლუცია,—ოღონდ წესიერების სასარგებლოთ. საფრანგეთში დაეცა მონ. დომებული მემარცხენეს ბ-ნი ჰერიოს მთავრობა და დღეს უკვე აღარც მემარცხენეთა კარტელი არსებობს; ევროპის კონტინენტზე საერთოდ მომაგრდა საზოგადოებრივი წესიერების ხელისუფლება. თითქოს დადგაო მემარჯვენეთა ტალღის მოქცევის რიგი. მეტი რა გნებავთ, ბელგიაში სოციალიზმმა კათოლიციზმზე ჯვარი დაიწერა...ბოლშევიზმა სკანდალებს უმატა, ქუჩებში სისხლის გუბეები დააყენა, მღელვარება გააღრმავა, აჯანყებანი დაატრიალა. უკვე მთელი ევროპის პრესსა ამხედრებულია მის წინააღმდეგ. მინისტრები გამოდიან და საბჭოთა ელჩების ცხვირ წინ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოურიდებელ კრიტიკას ეწევიან. ინგლისი აშკარათ მუშაობს იმ კომბინაციაზედ, რომ გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი გააერთიანოს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

სერიოზულათ ლაპარაკობენ ურთიერთობის გაწყვეტაზე საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის. ასეთი მძიმე პერიოდი საბჭოთა კავშირს არა ჰქონია. რას იზამს, როგორ მოიქცევა? გაჯიუტდება და ეს მესამე ეტაპი გათხრილ სამარეთ გადაექცევა, თუ მარჯვე მანიოვრს გააკეთებს, როგორიც არის მაგალითად ვალების ცნობა, ან დიდი შეკვეთები ევროპის ინდუსტრიისათვის და კრიზისს თავიდან აიცდენს? ბოლშევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმი ძალიან კარგათ იცნობს კაპიტალიზმის სამყაროს, რომ მის უფალთა წინაშე თავისი ფარსი კიდევ არ გაითამაშოს. მაგრამ დღეს საკითხს ეს კი არ სწყვეტს, არამედ ის, ასევე კარგათ გაიცნო თუ არა ბოლშევიზმი თვით კაპიტალისტურმა ევროპამ!? ამის პასუხს ახლო მომავალი მოგვცემს.

ს. ქ.

**გასამართლება.**

უკვე დაბეჭდილი იყო ამ ნომრის მეთაური წერილი, როდესაც ცნობა მოვიდა,თბილისში ამა თვის ათს უკვე დაიწყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ გასამართლებაო.

**განმარტებისათვის.**

გაზეთის „სამშობლოსათვის“ პირველ ნომერში მე შევეხე ბ-ნ ნ. ჟორდანიას „რა მოხდა“-ს და მეორე ინტერნაციონალის ჰამბურგის რეზოლუციას, რომელსაც იგი ხელს აწერს.*) იმ აზრებში, რომელიც ამოღებული ადგილების გარჩევის დროს განვავითარე, ზოგს ის დაუნახავს, რაც არ იყო. დაინტერესებული ვარ სწორათ ვიყო გაგებული.

მე არ მითქვამს ისე მოწყვეტით და ex abrupto, რაიმე განსაზღვრული ფაქტის მიხედვით, ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ ბრძოლაზე ხელი აიღო და ბოლშევიკებთან შერიგების გზას დაადგა,—მეთქი. ამის ფაქტი მე არ მქონია და არც ასეთი ბრალდება გამომითქვამს.

მე მხოლოთ განვმარტე ამ ორი დასახელებული წყაროს განსაზღვრული ადგილები და პრეზუმციის სახით ისა ვსთქვი, რასაც მათი ანალიზი მამლევდა,—სახელდობრ და მოკლეთ: რომ შეუძლებელია ერთის ხელით ბრძოლა ვაწარმოვოთ, როგორც ჩვენ ამას ვშვრებოდით და მეორეს ხელით მტრის გამაგრების რეზოლუციას ხელი მოვაწეროთ, როგორც ეს ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ ჩაიდინა; რომ ბ-ნი ჟორდანიას ახალი ტაკტიკა, რომელიც თავის „რა მოხდა“-ში მოგვცა, ეს იყო ეროვნული დოკტრინისა და ტაკტიკის უარყოფა და იმ სამშობლოს იდეის მიჩქმალვა, რომლის დროშის ქვეშ დღემდე იდგა და იბრძოდა ქართველი ერი და რომ ამ გზით უფრო ბოლშევიზმის შერიგება შეიძლებოდა და არა მისი დამარცხება.

თუ საქართველო ამ ტაკტიკას დაადგა და იმ დოკტრინით გაიმსჭვალა, რომელმაც იგი წარმოშვა, მაშინ ვნახოთ ჩემს პრეზუმციას მომავალი რა პასუხს გასცემს.

**სპ. კედია.**

*) იხ. გაზეთ „სამშობლოსთვის“ პირვ. ნომერი.

**თეთრი გიორგი.**

საქართველოს პატრიოტულმა ახალგაზდობამ „თეთრი გიორგიმ“ თავისი დეკლარაცია გამოსცა. ეს არის ახალგაზდური ჰიმნი საქართველოს სადიდებლათ. ზოგან-ზოგან იგი აფერადებულია საყვარელი ახალგაზდური გადაჭარბებით, ზოგანაც წუნია დადებული ჩვენზე,—ძველი თაობის მოქმედებაზე,—უამისოთ ახლის გამოსვლა ხომ არ შეიძლებოდა! დეკლარაციაში ჰქრის სადი ეროვნული გრძნობა და სამშობლოს უკვდავი კულტი, მტკიცე ორგანიზაციული ხასიათი და ეროვნული რეალისტური გონების გამოღვიძება. დეკლარაცია ასე ახასიათებს „თეთრი გიორგი“-ს:

„იგი სულიერი მემკვიდრეა მათი, ვინც ათასი წლობით იცავდენ და ჰქმნიდენ საქართველოს ძლიერებას. ის დაუმკვიდრებს საქართველოს მის ისტორიულ ტრადიციებს, განამტკიცებს წესრიგს და შეადუღებს ერის აწმყო—მომავალს მის დიდებულ წარსულთან.

რისხვა მას, ვისაც არ უნდა შეიგნოს ეს უწმიდესი დიადი იდეა. ლახვარი მას, ვინც წინ აღუდგება ამ იდეას.

„თეთრი გიორგი“ არის თავისუფალი უწმიდესი შეფიცვა უტყუარის პატრიოტიზმით აღგზნებულ ქართველთა, წინაშე საქართველოისა და ეროვნული უწმიდესი საფლავისა, სადაც თავისუფლების იდეით შედუღებულნი 5.000 ყრმა ქართველნი სისხლითაც შედუღდენ.

„თეთრი გიორგი“ ნაზიარებია მათი იდეით.

„თეთრი გიორგი“ მირონ-ცხებულია მათი სისხლით.

„თეთრი გიორგი“ გაანთავისუფლებს ეროვნულ საფლავს.

**„იდიდე საქართველოვ!“**

„ამინ!“ ვიტყვით ჩვენც.

**პრესსა.**

**„ძველ გზაზე“.**

ამ სათაურით პოლონური გაზეთის „კურიერვარშავსკის“ 30 ივნისის ნომერში მოთავსებულია ჩვენი გაზეთის „სამშობლოსათვის“ გარჩევა. მოყვანილია პირველი ნომრის წერილების საერთო შინაარსი და მათი ზოგიერთი ადგილები. ავტორი დიდის სიმპატიით ეგებება ქართველი ემიგრაციის გაზეთის გამოსვლას და მის უაღრესათ ეროვნულ სულს. იგი, ეტყობა, შორი-ახლო გაცნობილია საქართველოს ცხოვრების უკანასკნელი წლების ეპიზოდებს. მაგალითად, ეხება რა გაკვრით ჩვენი მთავრობის პოლიტიკას, დამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდებლობის ხანაში, იგი ამბობს: „საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარების მებნაში, მენშევიკებმა შეასუსტეს შინაური აღმშენებლობა და დიპლომატიური კავშირები ვერ გააბეს...1921 წლის კატასტროფა მათთვის მოულოდნელი იყო“-ო. მერმეთ იხსენებს ჩვენს შარშანდელ აჯანყებას და სწერს: „უფრო მოულოდნელი და გასაკვირველი ფაქტი ის იყო მათთვის (მენშევიკებისთვის), რომ 1924 წელს უკანასკნელი ამბოხების დროს, ამ საერთაშორისო დემოკრატიამ, რომელმაც უფრო ეკონომიური კომბინაცია იხელმძღვანელა, ვიდრე პოლიტიკური, სრულიათ მიივიწყა თავისი ქართველი „ამხანაგის“ სასოწარკვეთილი ბრძოლაო“. ავტორი ჩვენს მთავრობას იმასაც ნაკლათ უთვლის, რომ ემიგრაციაშიც ცალხაზით მიდის და მარტო ერთ წრეს ემყარება. ავტორი, რომელიც ხმარობს ინიციალებს ი. ბ., როგორც სჩანს, პოლონელია, ვინაიდან, პოლონელის სახელით თავის წერილის დასასრულში ასეთ დასკვნას აკეთებს „ჩვენც, პოლონელები ბევრ სხვადასხვა გზასა და გამოსავალს დავეძებდით ჩვენი უბედურების დროს და მაშინ ვპოვეთ ბედნიერება, როდესაც დავადექით პარტიობის გარეშე, ძველს ეროვნულ გზა, მაშ, უთხრათ სრულიათ უანგაროთ ჩვენს მახლობელ ძმებს ქართველებს მათი უბედურების გამნაწილებლებმა: ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ამ ძველ გზაზე“-ო. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ ჩვენი გაზეთის და ყველა მისი თანაგრძნობი ქართველი პატრიოტის სახელით, მხურვალე მადლობა მიუძღვნათ როგორც ხსენებული წერილის ავტორს, ისე იმ კეთილშობილ პოლონელთა ერს, რომელსაც იგი ეკუთვნის, იმ გამუდმებული მეგობრობისათვის, რომელსაც იჩენენ მტერ-შემუსრულ საქართველოს მიმართ.

სამწუხაროა მხოლოთ ის, რომ წერილის ავტორი, რომელიც საქართველოს მიმართ ასეთი საუკეთესო გრძნობითაა განწყობილი, ისე დაახლოვებით არ ყოფილა გაცნობილი ჩვენს დღევანდელს სპეციფიურ მდგომარეობას, რომ ზოგიერთი ნახმარი საკვალიფიკაციო ეპიტეტის არიდება საჭიროდ ეგრძნო. აგრეთვე, პატივცემული ავტორის უინფორმაციობას მიეწერება თითქოს ჩვენი გაზეთი შემდგარი სოციალისტური და არასოციალისტური ბლოკის ორგანო იყოს. ჩვენი გაზეთი, როგორც წმიდა ეროვნული ორგანო, ერთის მხრით ებრძვის ვიწრო კლასიურ დოკტრინას და ტაკტიკას, რომელსაც დღეს სამწუხაროთ დაადგა საქ.ოფიციალი წრე და მეორეს მხრით, იმ მიზანს ემსახურება, რომ მთელი ქართველი ხალხი და მისი პარტიები მარტო სამშობლოს იდეის გარშემო გაერთიანდეს და ერთ მებრძოლ ჯარათ დაირაზმოს. ჩვენი გაზეთის მეგობარია და მიმდევარი ყოველი ქართველი პატრიოტი, რომელსაც სწამს სამშობლოს იდეის უზენაესობა და უკვდავება და მის გამარჯვებისათვის იბრძვის.

---

თბილისის „კომუნისტის“ 30 ივნისის ნომერში წერილია მოთავსებული, სადაც ანონიმური ავტორი ვარჯიშობს, რომ „ემიგრაციის გახრწნა“ დაამტკიცოს. გერმანიის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის შემდეგ, ავტორი საფრანგეთში გადმოდის. პარიზის ემიგრაცია მას დაუყვია „ზედა და ქვედა ფენებათ“; ავტორის აზრით, ეს უკანასკნელნი მზად არიან საბჭოთა ერთგულებას შეჰფიცონ, წყეული „ზედაფენები“ რომ ხელს არ უშლიდენ, და ამბობს:...„ასეთი ფანდებით კედია სცდილობს მოაწყოს ფაშისტური რაზმი ახალგაზრდა ემიგრანტებისაგან და არ ერიდება ფულების მიღებას რუს ემიგრანტებისაგან თავის გაზეთისათვის („სამშობლოსათვის“) და საორგანიზაციო ხარჯებისთვის. ამას წინად კედიამ ინახულა კობურგში კირილე ვლადიმირის ძე. კედიას მხარს უჭერს ჩოლოყაშვილიცო“.

საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების დაქირავებული აგენტები, რომ აღას წყალობა დაიმსახურონ, მისგან ჯამაგირიც შეინარჩუნონ და წარმატებაც მიიღონ, იძულებული ხდებიან, რაკი სიმართლე ამ სამსახურს მათ ვერ გაუწევს, პროვოკაციასა და ცილის წამებას მიჰყონ ხელი. ამ ერთი წლის წინათ „ჩეკის“ აგენტებმა ხმები დაჰყარეს, კედია საქართველოში ჩამოვიდაო და ყველა მისიანები და მეგობრები დაიჭირეს და ციხეებში ჩასვეს, და აწუხებდნენ—გვითხარით სად არისო. ალბათ ამის საჭიროება კვლავ მოახლოვებულა, რომ ბ-ნი კედია საქართველოს ჩეკის პარიზის განყოფილების აგენტებმა ეხლა კობურგში წაიყვანეს...

---

## დელეგაციები საქართველოში

ივნისის 15-ს რუსეთიდან საქართველოს ეწვია ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია, ოთხი წევრისგან შემდგარი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქ-ნი მერი კვეილი. ეს დელეგაცია რუსეთში იყო მოპატიჟებული საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური საბჭოს მიერ, საერთო და კერძოთ მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაცნობათ.

ამ დელეგაციამ თბილისში დაათვალიერა ლენინის სახელობის თუთუნის ქარხანა, სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც დელეგაცია მიუღია უნივერსიტეტის რეკტორს. ი. ჯავახიშვილს, პროფეს. მელიქაშვილს და პროფეს. კეკელიძეს. როცა დელეგაციას უთხრეს სტუდენტთა 80% მუშა მოსამსახურეების შვილებთა და სწავლის ფული მცირეაო, ეს ერთ დელეგატთადგანს უხუმრნია—აქ სწავლის გასაგრძელებლათ ისეთი შეღავათიანი პირობები ყოფილა, რომ შეგვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლია ჩვენც აქ დავრჩეთ სწავლის მისაღებადღ. დელეგაცია იყო კოჯორში, სადაც მუშათა სახლები დაათვალიერა; მიწვეულ იქმნა აგრეთვე საქ. პროფესიონალური საბჭოს პლენუმზე, სადაც სიტყვები წარმოსთქვეს დელეგაციის თავმჯდომარემ და სხვებმა.

დელეგაციამ დაირა თბილისის სხვადასხვა უბნები, იყო მცხეთაში, სადაც დაათვალიერა მუშათა დასასვენებელი სახლები.

18 ივნისს დასტოვა თბილისი და სამხედრო გზით კავკავზე მოსკოვისკენ გაემგზავრა. რასაკვირველია, ისე როგორც ბერსელის დელეგაციამ, მუშა-ქალთა დელეგაციამაც, ყველაფერი თავის ადგილზე დაინახა და დიდი კმაყოფა გამოსთქვა, ყველა იმის შესახებ, რაც ნახა და დაათვალიერა. ინგლისში დავბრუნდებით თუ არა ვიტყვით, რომ ტყუილია ბურჟუაზიული პრესის მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს საქართველოში ხალხი შევიწრებული ან გაჭირვებული იყოს და დაიბარა რომ ბერსელის დელეგაციის გზგავსათ, ქალთა დელეგაციაც გამოსცემდა სპეციალურ ანგარიშს საქართველოს მდგომარეობის შესახებ და ლექციებსაც მოაწყობდა.

—29 ივნისს საღამო თბილისს ეწვია მეორე დელეგაცია სამხედრო გზით. ეს იყო ბელგია-საფრანგეთის პროფესიონალური კავშირის დელეგაცია. მეორე დღეს დაათვალიერა ქარხნები და ზავოდები. საღამოს მუშათა კლუბები დაიარა. 1 ივლისს დასტოვა საქართველო და ბაქოსკენ გაემგზავრა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს დელეგაცია ამ ერთ დღე —დღე-ნახევარში საქართველოს ისე კარგათ გაეცნობოდა რომ ევროპაში დაბრუნების შემდეგ გუნდრუკი უკმიოს საქართველოს მდგომარეობას.

ბატონო რედაკტორო,

ნება გვიბოძეთ თქვენი ჟურნალის საშუალებით გავფანტოთ ის გაუგებრობა, რომელიც შეეძლია გამოიწვიოს „ახალი საქართველოს“ N°7 მოთავსებულ მოქ. ივანე კაჩუხაშვილის წერილმა „ქართველი ემიგრაცია ჩეხოსლოვაკიაში“. ჩვენ მას სავსებით უყურადღებოთ დავსტოვებდით, რომ დარწმუნებული არ ვიყოთ მასში, რომ მოქ. კაჩუხაშვილსა და მის წერილს, როგორც ყოველთვის, ეხლაც სადემაგოგიოთ და საპროვაკაციოთ არ გამოიყენებდენ ზოგიერთი პირები, რათა ამ გზით თავისი აქაური „მოღვაწეობა“ გაამართლონ.

მოქ. კაჩუხაშვილი სწერს: „უპარტიოები ეხლა გამოდიოდენ მენშევიკების წინააღმდეგ, ფედერალისტებს უნდოდათ მენშევიკების დაცემით ფედერალისტების გაძლიერება. ს.-დემ. ფრაქციიდან გამოსულმა ჯგუფმა, ჭუმბურიძისა და შალვა მაღლაკელიძის გარდა, ვერც კი წარმოიდგინა, რომ ოპოზიციის გამარჯვება მენშევიკების დამარცხებაა. ესენი ფიქრობდენ, რომ მარტო აიოლოს იდეებს ებრძოდენ; რაც შეეხება ჭუმბურიძესა და მაღლაკელიძეს, მე ვგონებ, თუმცა ამის ხელმოსაკიდი საბუთი არ მაქვს, ამათ მენშევიკების მონასტრების დანგრევა უნდოდათ“-ო. ამ რიგათ, მოქ. კაჩუხაშვილს სურს პრაგაში არსებულ უთანხმოებას მისცეს დიდი პრინციპიალური და იდეური ხასიათი. ჩვენ დიდათ მოხარული ვიქნებოდით, რომ ეს ასე იყოს, რადგან იდეური ბრძოლა სათაკილო არ არის. უთანხმოება წარმოიშვა არა იდეურ ნიადაგზე, არამედ, როგორც თვით მოქ. კაჩუხიშვილი ამბობს,— „აიოლოს იდეების“ წყალობით; და ეს იმდენათ აშკარა და ნათელი იყო და არის, რომ მას ვერც ერთი პატიოსანი ქართველი მოქალაქე გვერდს ვერ აუვლის, ხელს ვერ დააფარებს. სწორეთ ასე მოიქცენ უპარტიოები, სოც.-ფედერალისტები და სოც.-დემ. ჯგუფი. ეს უკანასკნელი ვერ შეურიგდა „აიოლის იდეებს“ და აიოლოს ფრაქციისგან გაიმიჯნა. ამავე ნიადაგზე აიოლოს ფრაქციას წელს კიდევ გაშორდა რამდენიმე სოც.-დემოკრატი. ყველა ესენი გაშორდენ არა იმიტომ, რომ „მათ წარმოდგენილი არ აქვთ რას სჩადიან“, არამედ იმიტომ, რომ ამას ავალებს მათ სამშობლოს სიყვარული და თავისი პარტიის პრესტიჟი. მათ ყველას კარგათ აქვს წარმოდგენილი და გათვალისწინებული, სად თავდება პარტია და სად იწყება კერძო ინტერესები.

პირადათ ჩვენ,—ჭუმბურიძესა და მაღლაკელიძეს, მოქ. კაჩუხაშილი გვაწერს: „მენშევიკების მონასტრების დანგრევა უნდოდათ“-ო. ეს გულში ხელის ფათურია და მეტი არაფერი. სინამდვილე სულ წინააღმდეგს ამბობს და როცა მოქ. კაჩუხაშვილი სწერდა: „კოლონიის გასაერთიანებლათ ბევრი ნაბიჯები იყო გადადგმული, ბევრი ტყვია-წამალი დაიხარჯა, მარა ყოველივე ფუჭათ ჩატარდა“-ო, მას რადისიც არ მოაგონდა, რომ ამ ნაბიჯების ავტორები უმთავრესათ ჭუმბურიძე-მაღლაკელიძე და მათი ამხანაგები იყვნენ. ამის გამო ჩვენ ხშირად ეჭვითაც კი გვიცქეროდენ კოლონიაში და ამ ეჭვების მთავარი სულის ჩამდგმელი მოქ. კაჩუხაშვილი გახლდათ. სხვა ყოველივე ამას ივიწყებს ის და ამბავს უკუღმა მოგვითხრობს; და ტყუილათ ჰგონია მოქ. კაჩუხაშვილს, რომ აიოლოს ფრაქცია მენშევიკების მონასტერი იყოს. ჩვენ მას მენშევიკების მონასტრის საკანის როლსაც არ მივაკუთნებდით. მოქ. კაჩუხაშვილის აზრი რომ მართალი იყოს, მაშინ სოც.-დემ. პარტიის საქმე მართლა დაღუპული იქნებოდა და მისი დანგრევაც ადვილი, მარა ჩვენდა საბედნიეროთ ეს ასე არ არის და არც იქნება.

შალვა მაღლაკელიძე.
ნიკ. ჭუმბურიძე.

პრაგა, 6 ივლისი 1925 წ.

Le Gérant: Félix Kaldenbach.

Imp. DANZIG, 26, Rue des Francs-Bourgeois, PARIS